თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტოკრატიას, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

სოც.-დემოკრატ დეპუტატის სიმონ წერეთლის სოციალისტური მოღვაწეობის ატესტატი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 47 ხუთშაბათი, 3 აგვისტო, 1906 წ. თბილისი № 47

ასოთ-აწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ერთ გვერდზე**

დაწერილი.

## რუსეთის რევოლუცია და მისი მომენტები.

როდესაც რუსეთის ხალხმა პირველად გადიგდო **„ბიუროკრატიის უღელი“**, ბიუროკრატია უცებ დაიბნა და გაშტერდა; გათამამებული რევოლიუციაც გაშტერდა ამ სანახაობით და წინ წასვლის მაგიერ შედგა, ალაპარაკდა, სულ მთლად მიტინგებათ გადაიქცა და ხელით, იარაღით ბრძოლის მაგიერ ენით დაიწყო ბრძოლა; გაუხარდათ რევოლიუციის მამოძრავებლებს, რომ მოიპოვეს მშიერ მუცელზე თავისუფალი ტიტყინის უფლება, ე. ი. პოლიტიკური უფლება, რომელიც ვითომ პოლიტიკური რევოლიუციის ნაყოფი იყო...

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ხალხი გამოერკვა და ამასთანავე მთავრობაც ეს ბიუროკრატიული მეხრე გამოერკვა და დაიწყო თავისი განსაკუთრებული, რეაქციონური, მყრალი სულთქმა.

...ამ რეაქციონურმა მყრალმა სულმა იძლავრა და მოსწამლა ისევ ისე წინა-რევოლიუციის მიერ გაწმენდილი ჰაერი, არ იკმარა ეს და გადაედო თვით იმათ, ვინც უწინ რევოლიუციონერის მანტიაში იყო გახვეული—ბევრი გუშინდელი რევოლიუციონერები მეორე დღეს რეაქციონერები შეიქმნენ—იმიტომ, რომ მათი მისსია პოლიტიკური რევოლიუციონერობისა გათავდა. სოციალ-დემოკრატია, კადეტები და სხვა „დუმისტები“ გინდ პარლამენტარისტები ამგვარად მოემწყვდენ რევოლიუციის მექანიზმში მსხვილ სილა მარცვალივით....

რევოლიუცია შეჩერდა მთავრობის ცხად, კადეტების ადვოკატურ და სოციალ-დემოკრატების კლერიკალურ რეაქციის მეოხებით.

მთავრობამ ითავა რევოლიუციის ხაფანგის დაგება, კადეტებმა, ლიბერალებმა და სოციალ-დემოკრატებმა მიჰყვნენ თავიანთ დასუსტებულ ბელადს და თვითეული მათგანი პირ-დაღებული და თვალ-დაჭყეტილი შეჰყურებდა მათ ბელად მთავრობას ჭრილობებისაგან დასუსტებულ ხელებში და მზად იყო დაფრენოდა სამთავრო ბაირაღს, რომელიც ლამის ხელიდგან უნდა გავარდნოდა მათ ბელადს, მაგრამ პირი დაღებული, თვალები დაბრეციდი და ხელები გაშვერილი ისევ ისე დარჩათ, რადგან მათ ბელადს ჭრილობები უცებ განეკურნა, რადგან **„პოლიტიკურ რევოლიუციის“** გმირების სუსტი ხელებით იყო ნიცემული...

ბელაა როდესაც ბავშვი დიდობას დაიჩემებს და დიდი გაბავშვდება, ბელაა, როდესაც ვირი მსაჯულად დადგება და მგელი ნალბანდობას დაიწყებს.

რეაქციამ გაიმარჯვა რამდენიმე კვირით, შეიძლება თვით და იქმნება დღითაც.

ეს ასეა, მაგრამ უარესია, უსინდისობაა პოლიტიკურად და სოციალურად, როდესაც პარტია ერთი მხრით გაიძახის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და მეორე მხრით გაიძახის, რომ მოვახდინოდ პოლიტიკური საერთო გაფიცვაო, ე. ი. ისეთი გაფიცვა, რომელიც თვით პარტიის სიტყვით თხოულობს, რომ შეკავშირდენ, მომზადდნენ **წვრილი ბურჟუაზია** და გლეხობა.

შეკავშირება ბურჟუაზიის და პროლეტარული მოძრაობის. ამ გვარი კავშირებით ბრძოლა—საერთო პოლიტიკური გაფიცვა.—**იმოდენად კლასსობრივია, რამოდენათაც დემოკრატია სოციალისტური,** ე. ი. **ამგვარი ბრძოლა არც კლასთა და არც სოციალიზმისთვის ბრძოლაა.**

ჯერ სოც.-დემოკრატიამ სულ ის იძახა, რომ მუშა კლასსის ბრძოლის ველზე გამოსვლა შეუძლებელია, თუ გლეხები და საზოგადოების სხვა წრეები არ დაეხმარაო, მაგრამ როდესაც სხვებზე ეჭვი აიღო და შესწამა საყოველთაო გაფიცვის დაწყება, მაშინ თვით იკისრა ისევ ისე თავის უნიჭო თავზე და „კარლიკურ“ მხარზე საერთო გაფიცვის მოხდენა. ოღონდ კი თვით იყოს სარდლად და მისთვის სულ ერთია მოიგებ თუ არა იმ წმინდა ომს, რომელიც პროლეტარიატმა და ღარიბმა გლეხობამ მჩაგვრელებს გამოუცხადა.

F. La Flamme.

---

## სოციალ-დემოკრატ დეპუტატის სვიმონ წერეთლის „ფორმულიარული სია“ *).

### I.

კოპიო მღვდლის სიმონ წერეთლის წერილისა მღვდელ დანიელ ციცქიშვილის მიმართ, 15 იანვ. 1906 წ.

დიდად პატივცემულო მამაო დანიელ!

როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, ჩემ დაპატიმრების შემდეგ საკრამულის მრევლის გამგეობა თქვენ მოგენდო ადგილობრივ სამაზრო ადმინისტრაციის მიერ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ წინადადება მისცეთ მრევლის მცხოვრებთ, ან ვისაც ჯერ არს, შეაგროვონ ჩემი ხვედრი ფული 1906 წლ. 1 სექტემბრამდის გარდა შარშანდელ ფულისა და გადმომცეთ ხელწერილით. ზოგიერთ კომლისგან თითო მანეთი მივიღე და შესაფერი ბარათები მივეცი, 1905 წ. 1 სექტებრამდის მათზე დარჩა 120 მანეთი, მაგრამ თუ თქვენ არ შეასრულეთ ჩემი თხოვნა და არ მოაგროვებთ ჩემ ხვედრ ფულსა, რაიც ძალიან მჭირია ამ ჟამათ, რადგანაც ჩემი ოჯახი თითქმის დაიღუპა, ამ შემთხვევაში გთხოვთ თავი დაანებოთ ჩემ მრევლში რაიმე მოვალეობის შესრულებას შესაფერ განკარგულებამდის თქვენი პირდაპირ უფროსის მხრით, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დავისჯები თქვენი შეცდომების გამო, ამას კი მე ვერ მოვითმენ.

ს. წერეთელი.

—

*) გვეჭდავთ ამ საყურადღებო დოკუმენტებს რომელიც ახასიათებს მოღვაწეობას **სახელმწიფო სათათბიროს წევრის სიმონ წერეთლისას.** რედაქცია შემდეგში უძღვნის წერილს. ზოგიერთ მიზეზების გამო, ამ დოკუმენტების დაბეჭდვა დაგვიანდა.

რედ. შენ.

### II.

მათ მაღალკეთილშობილებას ბ-ნ დუშეთის მაზრის ჯარების უფროსს.

დუშეთის საპყრობილეში დაპატიმრებულის მღვდლის სიმონ წერეთლის

**თხოვნა.**

საკრამულის მრევლის მცხოვრებლებს, სადაც მე მღვდლად ვიყავი გამწესებული, ჩემი ვალი მართებთ 120 მანეთი შტატის დებულებით 1904 წ. 1 სექტემბრიდან 1906 წ. 1 სექტემბრამდის. სულ მერგება 200 მანეთი; აქედან მივიღე 80 მ. და შესაფერი ბარათებიც მივეცი. რადგან ამ ჟამად მე დაპატიმრებული ვარ და არ შემიძლიან პირადად ავიღო ჩემი ხვედრი 120 მან., ხოლო ჩემი ოჯახი ქონებრივად გაჭირვებულია, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ ბრძანება გასცეთ, რომ საკრამულის მრევლის მცხოვრებთ 120 მანეთი გადაახდევინოთ და ან პირადად მე გადმომცენ, ან ჩემ ოჯახს ჩააბარონ. 10 თებერვალი, 1806 წ.

მღვდელი სიმონ წერეთელი.

ამ თხოვნაზე ასეთი წარწერაა დუშეთის მაზრაში დაბანაკებულ ჯარების უფროსისა: „დუშეთის მაზრის უფროსს შესასრულებლად" **პოლკოვნიკი დიკი.** თებერვალი, 1906 წ. № 185“.

—

### III.

მათ მაღალკეთილშობილებას დუშეთის მაზრის ჯარების უფროსს.

მღვდელი წერეთლის

**თხოვნა**

დასამატებლად იმ თხოვნისა, რომელიც მე წარმოუდგინე თქვენს მაღალკეთილშობილებას 6 თებერვალს, 1906 წელს № 85-ით, შესახებ იმისა, რომ მოკრებულ იქმნას ჩემ სასარგებლოდ 120 მან., მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ ბრძანება გასცეთ და საშაბუროს მრევლის მცხოვრებლებისგან (იგივე საკრამულოს მრევლი) მოაკრებინოთ ჩემ სასარგებლოდ კიდევ 100 მან. გარდა ზემოხსენებულ 120 მან., რადგან მე იქ მღვდლად ვიყავი

1905 წ. სექტემბრიდან 1906 წ. 1 იანვრამდის, რის ხანის განმავლობაშიაც მათ უნდა გადამიხადონ 100 მანეთი, სულ იმიანად კი, რამდენიც მართებთ ჩემი 1904 წ. 1 სექტემბრიდან 1905 წ. 1 სექტემბრამდის—220 მანეთი. ამასთან მოკრძალებით (почтительнѣйше) გთხოვთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ამ საქმის რეზოლიუცია რაც შეიძლება მოკლე ხანში შემატყობინოთ.

მღვდელი სიმონ წერეთელი

18 თებერ. 1906 წ.

**წარწერა**: „განხილულ იქმნას ეს თხოვნა და თუ ერგება, გადაახდევინეთ“. ბ-ნ დუშეთის მაზრის უფროსს. № 198, 24 თებ. 1906 წ.

ბაზალეთის ბოქაულს: ასრულებულ იქმნას. 25 თებ. 1906 წ. № 521.“

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბავი

—

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ თბილისის 1 გიმნაზიის დირექტორისათვის სამსახურიდან გადადგომაზე წინადადება მიუცია არა ნამესტნიკის თანაშემწე მიცკევიჩს, როგორც გაზეთებმა გვამცნეს, არამეთ ოლქის მზრუნველის თანამდეობის აღმასრულებელს ლოპატინსკის.

— ახლად დანიშნული უსახელო საზოგადოების ტრამვაის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, უმთავრესი დირექტორი სამხრეთ რუსეთის ტრამვაის დირექტორი ფაინი უკვე ჩამოსულა როსტოვიდან.

— 2 აგვისტოს, არტილერიის მოედანზე გაუმართავთ მიტინგი ყაზახებს. მიტინგზე ყაზახებს უარი განუცხადებიათ მთავრობისათვის „კამანდიროვკაში“ წასვლაზე; გამოწვეულ ტენგინის პოლკის ყაზახთა მიტინგის ჩაშლაზე უარი უთქვამთ. შემდეგ გამოუწვევიათ მე-2 მსროლელი ბატალიონი, რომელთაც შეუპყრია ექვსი ყაზახი და დანარჩენთათვის კი იარაღი აუყრია.

— როგორც შევიტყეთ თბილისის სათავად აზნაურო ბანკის გამგეობას ქუთაისში და ქუთაისისის გუბერნიაში დაუარსებია თავისი სააგენტოს. აგენტათ დაუნიშნავთ ა. ვ. ხოშტარია.

— გეოქჩაის მაზრიდან იტყობინებიან, რომ 26 ივლისს, ღამეს სოფელ მიუსკიურლი-მალას-კადიმს, სადგურ უჯარის მახლობლათ თავს დასხმია 15 შეიარაღებული კაცი. გაურეკიათ 100 ცხენი და მიმალულან.

— ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა გამგეობაში მოსამსახურეთა ჯგუფმა, რომელნიც სთხოვენ გამგეობას, რომ ტრამვაის უფასო ბილეთების განაწილება მოსამსახურეებზე გადასცენ თვით მოსამსახურეებს, რომელნიც უკეთ მოაწესრიგებენ ამ საქმეს.

— გაფიცული მენალბანდეები უკვე შეუდგენ მუშაობას რადგან მათი მოთხოვნილებანი თითქმის ყველამ დააკმაყოფილეს. უარს უთქვია მუშებისთვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მხოლოთ ეგრეთ წოდებულ მაქსიმეს.

— წასული თვის უკანასკნელს რიცხვებში ახალციხის მაზრაში შემდგარა კრება ადგილობრივ სამღვდელოებისა. პირველათ აურჩევიათ 3 მღვდელი, ყოფილის ბლაღოჩინების მოვალეობის აღმასრულებლათ. შემდეგ ხიზლი გამოუცხადებიათ იმ მღვდლებისათვის, რომელთაც დონოსების წერა დაუწყიათ და ბოლოს კი დაუდგენიათ შეუერთდნენ საერთო საქართველო სამღვდელოების მოთხოვნილებას, რათა აღდგენილ იქმნას საქართველოს ეკკლესიის დამოუკიდებლობა. კრებას აგრეთვე პატივი უცია ფეხზე ადგომით 4 ივლისს მოკლულის გიმნაზიის გამგის შიო ჩიტაძის ხსოვნისათვის.

— ფოთიდან გვატყობინებენ, რომ იქ 30 ივლისს, ღამის 3 საათზე, 15 შეიარაღებული კაცი თავს დასცემიან ქალადიდიდან მიმავალ, მატარებელს, აუტეხიათ სროლა და გაუჩერებიათ მატარებელი. შემდეგ წაურთმევიათ საქმიანი ქაღალდები და გასაღები უფროსი კონდუქტორის თანაშემწისათვის, გაუტაცნიათ ერთი ვაგონიდან 30 რევოლვერი და წასულან. დაუჭერიათ ერთი თავდამსხმელთაგანი, რომელსაც აღმოჩენია რევოლვერი. დანარჩენნი ამხანაგები ტყეში მიმალულან.

— ქუთაისის გუბერნიაში 16 ივლისიდან 26 ივლისამდე შემდეგი ამბები მომხდარა.

1) 19 ივლისს, ს. ნოსირში, სენაკის მაზრაში 5 შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან ქვრივს ელისაბედ ოდიშარიას. წაუღიათ 27 მ. 20 კ. ფული, 102 მანეთის სალირალი ნივთები და მიმალულან.

2) 22 ივლისს, სოფელ თეკლათში 6 შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან ქვრივს ეკატერინე ხარჩილავას. ცემის შემდეგ წაურთმევიათ 60 მ. და წასულან.

3) 24 ივლისს, სოფ ნაცულიკოვოში ზუგდიდის მაზრაში ქ. ზუგდიდიდან მომავალს თავადს ფარნა ჩოჩუას თავს დასხმიან რამდენიმე უცნობი კაცი წაურთმევიათ 4 მ. და მიმალულან. შეუპყრიათ ერთი მძარცველთაგანი.

4) 26 ივლისს, ს. ფუთში, შორაპნის მაზრაში 20 შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან ივ. ჯაფარიძეს გაუტაცნიათ 130 მანეთი ფულათ 140 მ. ძვირფასი ნივთები და წასულან.

# პროვინცია

—

**დ. ჭიათურა.** მკითხველთ მრავალჯერ სმენიათ გაზეთებით რომ, ჭიათურის მუშებმა სრული გამარჯვებით დაამთავრეს გაფიცვა, ყოველისფრით დაკმაყოფილებული იქმნენო. ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მუშებმა გაიმარჯვა გაფიცვებში მუშებმა მოიპოვეს რვა საათის სამუშაო დღე და აგრეთვე მოიმატეს დღიური ხელფასი ან და თვიური ქირა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ, ამ მუშების გამარჯვებასთან **ჭიათურის ვაჭრებმაც ძალიან კარგად გაიმარჯვეს**, მაგრამ შესახებ ვაჭრების გამარჯვებისა კი არას სწერენ. ვაჭრებმა **ისარგებლეს** მუშების გამარჯვებით **და საქონლის ფასებს დღეს ერთი ორად აუწიეს**: შაქარი გირვანქა 16—17 კ. იყო ეხლა გახლამთ 20 კ. ასანთი (спичка) ათეული 10-12 კ.—ეხლა ღირს 15 კ. **ასე რომ ეს მუშების მომატებული დღიური ქირა და რვა საათი მიდის ისევ ჩარჩ-ბაცაცა ვაჭრების ჯიბაში.** სახელით „მუშების გამარჯვებაა“ და „სახრავი“ ვაჭრების გახლამთ. ვაჭრები პირ-დაღებულნი მოელოდებიან ხოლმე მუშებს, აბა

# ფელეტონი

**შიმშილი, უმეცრება და შიში** *).

(Хлѣбъ и Воля-დან)

ხალხს სამი მტერი ჰყავს. პირველი—შიმშილი. მეორე—უმეცრება. მესამე—შიში.

შიმშილმა აქცია ის სატვირთე პირუტყვად.

აუტანელი მძიმეა მისი ტვირთი.

აუტანელია მისთვის მათრახების ცემა.

მაგრამ ის მაინც ითმენს.

უკანასკნელ სისხლიდან და ოფლიდან იწურება და ცრემლებთან ერთად სვამს ის ამ სისხლს.

შიმშილი მირეკავს გლეხს და მუშას, მამაკაცებს და დიდაკაცებს, მოხუცებს და ბავშვებს მონათა ბაზარზე და აიძულებს იყვირონ:

„იყიდეთ მუშა! ჩვენ ვყიდით მთელ ჩვენ—სხეულს, სულსა და სინდისსაც.

იყიდეთ იაფად—ჩვენ ვიშრომებთ თქვენთვის უკანასკელ ოფლის წვეთამდე, ჩვენ შევიდგამთ კისერზე მძიმე უღელს და დაგიწყებთ თქვენ ფეხებზე კოცნას...

იყიდეთ მუშა—იაფად, იაფად...

„ჩვენ გთხოვთ მხოლოდ ცოტაოდენ პურს, რომ სიმშილით არ ჩავკვდეთ, და ძველს სამოსელს, რომ დავიფაროთ გატიტვლებული სხეულებიო“.

ვაჭრობს ხალხი.

მოჰფრინავს შემძლეთა, მდიდართა და მტაცებელთა ხროვა და ყიდულობენ მუშის ძალას, მუშის სულს...

სავსეა ქარხანა-ფაბრიკები, სავსეა გამხიარებული სახლები.

ყოველგან გაისმის ოხვრა-გოდება კვნესა-ტირილი:

ბევრი დარჩა გაუყიდველი. მდიდრებმა და შემძლე პირებმა დატოვეს ისინი, რომ თადარიგათ იყოლიონ და რომ თავიანთი მონები დააშინონ:

„ფრთხილად იყავით! თორემ თქვენს ადგილზე სხვებს ავიყვანთ. და ეს იმისთვის რომ უფრო მაგრათ დაიჭირონ ხელებში აღვირის თასმები, რომ საგრძნობლათ სცემონ

მუშებს.—პირუტყვთა ჯოგს...

მშიერთათვის შიმშილმა არ იცის შეწყნარება. ის დასახმარებლად იწვევს განუკურნავს სენს: ტიფს, ხოლერას, სურავანდს და მუსრს ავლებს ხალხს.

ყოველგან სუფევს შიში, სასოწარკვეთილება...

და კვნესის ხალხი.

*
* *

მისი მეორე მტერი—უმეცრებაა.

ლხინშია მდიდარი...

გავსებულია მისი სუფრა ძვირფასი საჭმლებით, მდინარესავით იღვრება ღვინო. თავიანთ ძაღლებს ისინი მეტს აჭმევენ, ვიდრე ხალხს—მონებს...

ოქროთ შემოსილნი სამოსელნი მათნი ბრწყინავენ; მხიარულებისაგან ელვარებენ მათი თვალები.

ჯან-საღნი, მაძღარნი და ჩაცმულდახურულნი არიან მათი შვილები...

ასი ათასობით მონები ქედ-მოდრეკილ შრომის უღელში გაბმულან რათა დაუმზადონ მდიდართა შვილებს ლამაზი სათამაშოები...

ამ დროს-კი საწყალნი მუშათა შვილები ქარხანა-ფაბრიკებში სჭლექდებიან მშიერ მწყურვალნი...

მათ ცოლებმა არ იციან რა არის შრომა—ყველაფერს უკეთებენ მოსამსახურეები. რათ უნდათ შრომა, უკვე ნაყიდია მუშა თავის ცოლშვილებით.

მხოლოდ საჭიროა მათი ცემატყეპა, რომ არ იგრძნონ რა არის მოსვენება. ხალხი ხედავს ყველა ამას და ჰფიქრობს:—ეს ასე უნდა იქმნეს, ის ბატონ-პატრონია მე კი—მონა. და ჰფიქრობს ამას, იმიტომ რომ უმეცარია. მიდიან მასან მღვდლები და ეუბნებიან: ჩვენ ვიცით რომ თქვენ გეკუთვნით ზეციერი სამეფო, რომ პირველათ თქვენ შეხვალათ სამოთხეში.

*) ეს ფურცელი პირველად გამოუშვა შარშან ჯგუფმა „Хлѣбъ и Воля“ რუსეთში. შემდეგ გაზეთ „Хлѣбъ и Воля“-ში იყო გადაბეჭდილი და ამ ბოლო დროს კიდევ გადაბეჭდილი იქმნა კრებულში “Хлѣбъ и Воля“-ში რომელიც პეტერბურგში გამოვიდა.

როდის მოია მუშა ჩემთან და როდის იყიდის წუღას, რომ ორი მანეთის მაგიერად სამი მანეთი გადაახდევიო წუღაშიო, როდის იქნება საპერანგე ჩითისთვის მომაკითხავს მუშები რომ, 10 კაპ. მაგიერად 17 კაპ. ვიჯიბო ჯიბეშიო, და სხვა. ასე რომ მრავალჯერ მსმენია ვაჭრებისაგან; აბა როგორ ეგონათ ყმაწვილებს, **ისინი თუ მოიმატებენ დღიურ ქირას, ჩვენ არ შეგვეძლო მო ვემატებია საქონლისათვინო?!** მაგისთანა სოციალისტებს მოატყვილებს ჩვენი მომხიბლავი სიტყვებიო!.. **თუ გინდ ხუთი მანეთი მოითხოვონ დღეში ჩვენ მაინც ჩვენსას არ დავკარგავთ და კიდევ ზედმეტს ავიღებთო.** ამგვარად მუშების მომატებული დღიური ქირა და ბრძოლით მოპ ვებული 8 საათის სამუშავო დრო ისევ ვაჭრების სასარგებლოთ რჩება, ვიდრე მუშების; ამაზედ ზემოხსენებული პარტიები ს. დ. და ს. რ. რომლებიც წამ-და-უწუმ გაიძახიან, ჩვენ ამფერი ჩვენ იმფერიო, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ვაჭრების ამნაირ თავხედობას, ყურებს გვიჭედავენ სიტყვებით და საქმით ვერაფერს ვერ ვღირსეთ მათგან. ეხლა თანდათან ვრწმუნდებით, რომ **თუ თვითონ მუშემა არ ამოიღეს ხმა და თუ თვითონ მუშებმა არ დაიცვეს თავიანთი ინტერესები იქამდი ვერაფერს გავაკეთებთ** ნუ თუ ერთს არ იფიქრებენ იმაზედ თუ **ეს მამატებელი დღიური ქირა მუშების სად და ვის ჯიბეში მიდის?!** ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია ავლაგმოთ ეს მუცელ გაყეყილი და ღლაბ-ჩამოშობილნი ვაჭრები, რომ ზედმეტი ფასი არ აიღონ საქონელში. რის პასუხით ს. დ ს. გეტყვიან: ამხანაგებო! ვერა ხედამთ თქვენი თვალებით ჩვენ რვა საათის სამუშაო დღე მოგაპოვეთ და დღიური ქირაც მოვამატებინეთ ხაზეინებსო?! ამით იმართლებენ თავს ს. დ. და ამითი ამტკიცებენ, რომ ხალხს ჩვენ გაპრ ლეტარების გზაზედ არ ვაყენებთო, ამიტომ რომ, რვა საათის სამუშაო დღეს ვთხოვილობთო. ვაჭრები კი ამ დროს იცინიან გუნებაში, და თან ამბობენ: **თუ მაგენი მოიმატებენ ფასებს, ჩვენ საქონლის ფასებს აუწევთ და იმდენს კი არა ზედ მეტსაც ავიღებთო,** და სწორედაც ასეც იქნება, თუ კი მუშები რაიმე საშვალებას არ გამონახავენ ამ ჩარჩ-ბაცაცების ასალაგმაოთ. მაშ მუშებო! იცოდეთ რომ ჩვენი მოპოვებული რვა საათის სამუშაო დრო, და ხელფასის ქირა ჩვენვე მოგვხმარდეს და არა ჩარჩ-ბაცაცა ვაჭრებს, ასი ჩვენ პირობებს ვერასოდეს ვერ გავიუმჯობესებთ, და ჩვენი რვა საათის სამუშავო დღე და მომატებული დღიური ქირა ვაჭრებისთვის დარჩება და არა ჩვენთვინ, ჩვენი ბრძოლ კაპიტალისტებთან და ვაჭრებთან უნიადაგოდ დარჩება: ჩვენ კარგათ ვხედავთ, რომ ვაჭრები არ აპირობენ მოუჭირონ თავიანთ ჯიბებს ბაზარი რის გამო პროლეტარიატი იძულებული იქნება მოუჭიროს მათ გაგანიერებულ კასრებზე ბაწრის გალუსტიკები და მით შეუკრას გზა პროლეტარიატის შრომის ნაყოფის კაპიტალისტების მუცლებში გადასვლას.

მ. გ.

# რ უ ს ე თ ი

როგორც „XX ვეკს“ შეუტყვია 25 ივლისს, პეტერგოფში გადაუწყვეტია  რომ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვი-დაშკოვი დათხოვნილ იქმნას თანამდებობისაგან. კანდიდატებზედ ბევრი ხმები დადის. წამოყენებულია ძველი პროექტი, რომ კავკასია გაიყოს ორ საგენერალ-გუბერნატოროთ. მეორე მხრით კი, ცნობილ „სასახლის“ პარტიამ წამოაყენა გენერალი რენენკამფი „ცნობილი ციმბირის დამპყრობით“. ზოგიერ პარტიამ წამოაყენა გენერალი მიშჩენკო. თუ მიშჩენკოს კანდიდატურა დამარცხდა, ზოგიერთ პარტიას გადაწყვეტილი აქვს წამოაყენოს საკითხი, კავკასიის სანამესტნიკოს გაუქმებისა.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარით აუწყა ეკატერინოსლავის, პერმის, მოსკოვის გუბერნატორებს და კავკასიის ნამესტნიკს, რომ თვალ-ყური ადევნონ ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს წევრთ და მათგნით ყოველი რამე კანონის დარღვევაზე, აცნობოს ხოლმე სამინისტროს. (XX ვეკ.)

—

უწმინდესმა სინოდმა დაადგინა, სასტიკი გამოძიება მოახდინოს, იმ კოლექტივურ განცხადებაზედ, რომელიც წარდგენილ იქმნა კავკასიის ნამესტნიკთან ქართველ სამღვდელოების სახელით, რომელნიც ითხოვდნენ რომ შეემსუბუქებინათ სასჯელი მინგრელის პოლკის 27 ჯარის კაცისა, რომელთაც ჰქონდათ გადაწყვეტილი სიკვდილის დასჯა. (სვობოდნაია ჟიზნ.)

—

როგორც „პერელომი“ იუწყება, სამხედრო-საველე სასამართლომ კრონშტანტში გადაუწყვიტა სიკვდილით დააჯა 170 კაცს, იმ შვიდის კაცის გარდა, რომელნიც დასჯილნი იქმნენ კიდეც. სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ჯერ არავინ არ იცის, რადგანაც იმათ სადაც იმყოფებიან, ძლიერ ფარულად ინახავენ. „პერელომ“-ის სიტყვით, ვითომ ისინი დაუსჯიათ შაბათ ღამეს. მატროსები, რომელნიც ცოტა მონაწილეობა მიუღიათ და არ ითვლებიან მეთაურებად, იარაღი აჰყარეს მათ და ყაზარმებში დაამწყვდიეს.

—

როგორც „სვობოდნაია ჟისნ“-ს შეუტყვია, მაშინ გამოცხადდება რუსეთში დიქტატურა, როდესაც ისეთი ანალოგიური ამბები მოხდება, როგორიც მოხდა სვეაბორგში და კრონშტატში.

—

„ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით დაუპატიმრებიათ რევოლიუციონურ პარტიის წევრნი; მათ შორის დაპატიმრებულნი არიან წევრი სამხედრო ორგანიზაციისა. ალექსეევის ქუჩაზედ სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის კრეზის დროს, შეიპყრეს იმათ შორის სოციალ რევოლიუციონერები და ანარქისტები. იპოვეს ყუმბარების საწყობი, მრავალი იარაღი, პროკლამაციები და არა-ლეგაური ლიტერატურა. აგრეთვე შეიპყრეს მთავარ მომწყობნი პროფესიანულ კავშირებისა რომელნიც მოუწოდებდნენ მუშათა კლასს, საერთო გაფიცვისთვის ხელმეორეთ არჩევნები დაპატიმრებულ წევრების მაგიერ ვერ მოახერხეს, რადგანაც ყველგან

---

რადგან ჩვენ გპირდებით ყველა ამას, თქვენ სამაგიეროთ უნდა გვაძლიოთ თქვენი შრომის ნაყოფის ნაწილი.

ხალხი ისმენს და კიდეც იჯერებს. მუშაობს ზურგ ში მოჰრილი პაპანაქებაში მინდორ-ველზე, სუნთქავს მოწამლულ ჰაერით ქარხანა-ფაბრიკებში, რათა დააკმაყოფილოს მსახურნი ღვთისანი.

უჯერებს ყველა ამას ხალხი, უჯერებს რადგან უმეცარია.

მოდიან მასთან ძლიერნი ამა ქვეყნისანი და ეუბნებიან: ჩვენ მტრებისაგან გიფარავთ რათა შენ შეიძლო თავისუფლად შრომა და ამისათვის მოვითხოვთ თქვენს შვილებს მტრებთან საომრათ, და სასყიდელიც უნდა გვაძლიოო. ხალხი ამათაც უჯერებს და იწურება უკანასკნელ სისხლიდან რათა ხარჯი იხადოს და თავის შვილებსაც მიერეკება აუცილებელ სიკვდილისაკენ. აგრე იქცევა ხალხი იმიტომ, რომ უმეცარია. ყველა მის მარჯვენის შრომითა სცხოვრობს, ყველა კისერზე აზის—მექარანე მემამულე, მღვდელი და მსწავლულნი. ყველა მათი სისხლით იკვებება, ყველას ის სძაგს, ყველა ჰქელავს ფეხებით და შეურაცყოფს.-და ხალხს—ამ დიდ, ვეება გულწრფელ ბავშვს—არ ესმის, რომ მუქთა ხორებია ყველა მისი მყიდველნი რომელნიც უფლობის მპყრობელნი ირიან და ასე მოიხმარებენ მათ (მუშის) სულს და სხეულს, როგორც სწადიან. რომ საჭიროა დამხობა ბატონობისა, თანასწორობა სიმდიდრისა, თანასწორობა ცოდნისა და თავისუფლება.

არ ესმის და ამისთვის ითმენს და კვნესის ხალხი.

მისი მესამე მტერი შიშია.

მუშაობა გაელვარებულ ფეჩთან, რომელიც ათასობით ისვრის გახურებულ ნაპერწკლებს; მუშაობა ცივ ნესტიან მაღაროებში, სადაც ყოველთვის ნანგრევები, ცეცხლის ალი და სულის შემაგუბებელი გაზი ემუქარებიან,—არ ეშინია ხალხს.

სიკვდილი ომში და მტრის ტყვეისათვის გულის მიშვერა—მას აშინებს.

მხოლოდ ბატონის, მემამულის ქარხნის ან ჩინოვნიკის რისხვის ქვეშ ის უჯათად განაბულია, შიშის ზარის კვლანჭებით შებოჭვილია.

მასართმევენ მიწას და მით ვაჭრობენ როგორც ნივთით.

სავსეა ბატონთა ბეღლები პურით. ხალხი შიმშილობს... სულ განაბულია.

ურიცხვი დაბა-სოფლები ითმენს ტანჯვა-ვაებას. რიცხვით მრავალს ეშინია—რიცხვით ცოტასი, რომ ამხედრდეს მათ წინააღმდეგ, რომ ჩამოართვას მიწები და განდევნოს მუქთა ხორები; რომ დაიბრუნოს თავიანთი სისხლით და ოფლით ნაშრომი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მის სხეულიდან უწუწნიათ, მაგრამ არა—ეშინია, და სდუმს შიშის ზარის კლანჭებით შებოჭვილი. ის მდიდარი მექარხნეები რომელთაც ასობით და ათასობით მუშათა შრომით შეუგროვებიათ მილიონები, მას გროშ-კაპეიკებს აძლევენ.

მხიარულებენ მდიდარნი.

იმიტომ რომ ხალხი შიშია.

სავსეა საწყობები სამოსლებით მდიდრებისათვის და მუშების ხელიდგან გამოგლეჯილ ფულებს სცვლიან აბრეშუმ და ხავერდებზე.

ხალხი დადის ჩაგლეჯილი ჩაფლეთილი სამოსელში; ყველა ამას ის ხედავს, მაგრამ მაინც სულელურად სდუმს.

* *
*

დასასჯელათ მიჰყავთ მათი შვილები რადგან ხალხის სიყვარულით აღჭურვილნი იყვნენ და უნერგავდენ მას გულში ძალას და გამბედაობას.

ირგვლივ სდგას ხალხი.

მაგრამ ხელები მისი არ ინძრევა, არ ფიქრობს დასცეს მტერს თავ-ზარი, იბრძოლოს თანასწორობისათვის და ძმობა-თავისუფლებისათვის. არ ფიქრობს...

ჯალათს ეს უხარია და დღესასწაულობს.

კოწია ჯ—ია.

კრებები პოლიციამ ჩაშალა, აი მთავარი მიზეზი ის იყო დასახელებულ გაზეთის სიტყვით რომ ვერ მოხერხდა საერთო გაფიცვა რუსეთში.

—

პეტერბურგში დააპატიმრეს რამდენიმე ანარქისტი; უპოვეს მათ მრავალი ყუმბარები. (რუს. ვედ.)

—

25 ივლისს, საღამოს, ყოფილი სათათბიროს წევრი ანიკინი მიდიოდა მთავარ შოსეზედ, ტერიოკში. მას უკან მიზდევდნენ ორი უცნობნი პირნი. ანიკინმა მიიტანა მათზედ ეჭვი, შეუხვია იქვე ვიწრო ქუჩაზედ, მას მიყვნენ ის ორი უცნობნი პირნიც. მოიგდეს დრო ბოროტ-მოქმედებმა როდესაც ქუჩაში არავინ იყო, მივარდნენ ანიკინს, მაგრამ იმ დროს ქუჩის ბოლოდგან გამოჩნდენ მომავალი ხალხი: ბოროტმოქმედნი გაიქცნენ. ისე რომ ანიკინს არაფერი ევნო. (რუს. ვედ.)

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში შემდეგი ამბავი:

შაბათს 30 ივლისს, მე მივემგზავრებოდი საავარაკო მატარებლით ბორჯომისაკენ. გორის სადგურზე ამ მატარებელს ჩაუსხდნენ რევიზორი ბ-ნი შალომერი და თბილისის პოლკის პრაპორჩიკი ზაალოვი. ეს უკანასკნელი მესამე კლასსის ვაგონში ვიღაც ნაცნობ ქალბატონს შეხვდა; და მერე იგი პირველ კლასსის კუპეში გადიყვანა. ამ დროს ბ-ნმა შალომერმა პასსაჟირების ბილეთების შინჯვა დაიწყო და შეხედა რა რომ ზაალიშვილის მიერ გადმოყვანილ ქალბატონს მესამე კლასსის ბილეთი აქვს, სთხოვა რომ მას დაეტოვებინა კუპე. ზაალიშვილმა ეს კანონიერი საქციელი არ მოიწონა და რევიზორს წინააღმდეგობა გამოუცხადა და სთქვა: „მე ვარ დამცველი ჯარის უფროსი გორიდან მიხაილოვამდე“. ბ-ნმა შალომერმა ამის დამტკიცება მოსთხოვა. ზაალიშვილს ეს არ ეჭაშნიკა და მორთო ყვირილი. ისე უყვიროდა რევიზორს როგორც უბრალო სალდათს. ამ დროს მატარებელი ქარელის სადგურზე დადგა. ზაალოვმა გადმოათრია ვაგონიდან ბ ნი შალომერი და სადგურის უფროსის ოთახში შეიყვანა და იქ უწინდებურად ყვირილი და უსაკადრისო სიტყვებით შეამკო უკანასკნელი. მგზავრები გადმოვიდნენ ვაგონებიდან და აღელვებულნი უცქეროდნენ ამ ამბავს. ბ-მა ზაალიშვილმა, ყვირილს მოუმატა: „მე გიცხობთ თქვენ, თქვენ ყველანი რევოლიუციონერები ხართ!... გარეკეთ ხალხი, უთხრა მან იქ მდგომ სალდათებს, და თუ არ დაგიჯერონ თოფის კონდახები დაუშინეთ“. ამ სიტყვების შემდეგ ზაალოვმა კისერში კვრით გამოიყვანა ბ-ნი შალომერი და საბარგო ვაგონში დაატუსაღა.

ამისთანა საქციელმა ხალხი მეტად ააღელვა და უთხრეს ზაალოვს ამ ის უკანონოდ იქცევა, რომ შალომერს სრული უფლება ჰქონდა ის ქალბატონი პირველ კლასსიდან მესამეში გადაესვა. ამ სიტყვების და ბ-ნ არჩეულოვის (უფროსი რევიზორი) ზედგავლენით, ზაალოვმა გაანთავისუფლა დატუსაღებული შალომერი. ამ ამბავმა თითქმის საათნახევარით დააგვიანა მატარებელი; ნუთუ პრაპორშჩიკებს ამოდენა უფლებები აქვთ რკინის გზაზე? ნუ თუ მათ შეუძლიანთ უფასოთ ატარონ ის ქალები, რომლებიც მათ მოსწონთ და ატუსაღონ რევიზორები?

მნახველი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „შრომის“ მე-№ 53-ში, ახალ ამბავში მოთავსებული იყო დასჯილი მღვდლები აღნიშნავენ რომ მათი ტანჯის მიზეზნი არიან მთავარი ალექსი ღვინიაშვილი. მე თავის დროზედ გამოუგზავნე ერთი მეორეზედ ოთხი საპასუხო წერილები გაზ. „შრომის“ რედაქციას, რომლებშიაც ვიწვევდი სამედიატორო სამართალში იმ დასჯილ მღვდლებს, რომლებიც ეგრე უსვინდისოდ ცილ მწამებდნენ პირადი ანგარიშების გამო, მაგრამ არ დაბეჭდეს მიზეზათ მისახელებდენ იმას რომ ადგილი არა აქვთ ამისთვის, უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ საშვალება თქვენი პატივცემულ გაზ. „მუშის“ საშვალებით გამოვიწვიო ზემოხსენებული მღვდლები სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ ფასანაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ნაჩალნიკს კონსტანტინე ივანეს ძე კეზელს და ვაჭარს გრიგოლ სოლომონისძე კობაიძეს. უკეთუ მღვდლებმა არ გამცეს პასუხი ათი დღის განმავლობაში, საზოგადოებამ სცნოს ისინი დამნაშავედ და დადოს შესაფერი მსჯავრი.

მთავარი ალექსი ღვინიაშვილი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

—

**ვარშავა.** გაზეთების ცნობები, ვითომც „ვარშავსკი დნევნიკ“-ის გამოცემა მოსპობილიყოს, ტყუილია.

— ერივანის ქუჩაზე, 2 კაცი დაეცა ასაწონ ვაგონების საზოგადოების კურიერს, გაიტაცეს 1900 მანეთი.

— მოჰკლეს დეპოს უფროსი ვარშავ ბრესტის რკინის გზისა.

— ქუჩაში დასჭრეს უცნობებმა მუშა მიხაილოვი.

**ოდესსა.** გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გამოცხადებულია, თუ პატრონები დააკმაყოფილებენ მუშების თხოვნას, გაფიცვების დროს იგინი ადმინისტრატიულათ დაისჯებიან. აგრეთვე ის პირნიც, რომელნიც ანარქისტ-კომუნისტების ჯგუფთან მოლაპარაკებას მართავენ, და აძლევენ მიწერილს ხვედრ ფულს.

**პეტერბურგი.** „ბირჟევ. ვედ“. სიტყვით, ამ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოსალოდნელია შესდგეს კრება 17 ოქტომბრის კავშირისა და მშვიდობიან განახლების პარტიისა. არსდება პარტია ზომიერ პროგრესისტებისა. მშვიდობიან განახლების პარტიისაგან განსხვავდება იმით, რომ ვერა სცნობს შესაძლებლად, ადგილობრივ თვით-მმართველობას რუსეთის განაპირა ქვეყნებში.

— აკრძალეს გაზეთი „ტრუდი“ და „სვობოდა“. სტამბა დახურეს.

— „XX ვეკ“-ი იუწყება, რომ ამ ახლო ხანაში გამოვა გამოცემა „იტოგი ვოინი“ ყოფილ მთავარ-სარდლის კუროპატკინისა.

**სოფია.** ანხიოლაში ცეცხლის გაჩენის გამო, დარჩა 6,000 მცხოვრებნი უსახლ-კაროთ! ბერძნების ეპისკოპოსი ვასილი იპოვეს, ცეცხლისაგან დამწვარ განადგურებულ დამწვარ სახლებში. მრავალი დამწვარია და მკვდარი. არეულობა მოხდა აგრეთვე ლიტოსში, ესკიზაგრაში და სხვა ადგილებში.

— 30 ივლისს, ოსმალეთის საზღვარზედ მოკლულია 2 ოსმალეთის ჯარის კაცი და 1 ბოლგარელი დაჭრილია.

**ყაზანი.** თავი მოიკლა კაპიტან გეშელმა. მიზეზი არ იციან.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ არეულობის და თავისუფალ ადგილების უქონლობის გამო, კავკასიაში გლეხების გადასახლება შეჩერებულია, შემდეგ წლამდე.

**ყაზანი.** გაფიცულ მუშებს და ყაზახებთა შორის მოხდა შეტაკება.

**ბახმუტი.** ივანოვსაის ეკონომიაში მოხდა შეტაკება გლეხებთან. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ ღიასამიძე.

# განცხადებანი.

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინამდგეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფული ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

„მუშის“ რედაქციაში იყიდება შემდეგი ახლად გამოსული წიგნები;

1) არჩილ ჯორჯაძე ძველი და ახალი . . . . . . . . 25 კ.
2) კ. ორგიანი. მუშათა კავშირები, მათი მნიშვნელობა და სინდიკალიზმი . 20 კ.
3) პ. კროპოტკინი. კამუნიზმი და ანარქია . . . . . 15 კ.
4) ა. ბურშესაყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს . . 10 კ.
5) პ. კროპოტკინი. მეამბოხის წერილები . . . . . . 5 კ.

## ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

# გ ლ ე ხ ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თავისუბლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა დ თავისუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მან და 60 კ., სამის თვით—80 კ., ცალკე №—6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (განოვის ქ., №8) და წერა-კითხვის მაღაზიაში.

რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.